ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ჩოხატაური წერეთლის ქ. №2

☎ 790 20-33-05
577 47-43-34

საკრებულოს თავმჯდომარის
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №141

13 მაისი 2014 წ.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტსა და საჯარო სამართლის იურიდიული პირი ,,საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიას“ შორის 2013 წლის 15 თებერვალს დადებული თხოვების ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ

,,ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 43-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის, ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ქონების ფლობის, განკარგვის და ქონებით სარგებლობის წესის დამტკიცების შესახებ” ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 13 ივნისის №32 დადგენილების მე-20 მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. გაუქმდეს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტსა და საჯარო სამართლის იურიდიული პირი ,,საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესია“–ს შორის 2013 წლის 15 თებერვალს დადებული ხელშეკრულება მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სატრანსპორტო საშუალების, ავტობუსი PAZ-423400; გამოშვების წელი - 2007; სარეგისტრაციო მოწმობა - LV0003203; ტრანსპორტის საიდენტიფიკაციო ნომერი - M42340070001647; სარეგისტრაციო ნომერი - VZZ 561, თხოვების ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ.
2. საჯარო სამართლის იურიდიული პირი ,,საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიამ“ სარგებლობის უფლებით გადაცემული სატრანსპორტო საშუალების დაბრუნება მოახდინოს შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში, ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, მისამართზე – ჭავჭავაძის ქ. № 4.
4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარის

მოვალეობის შემსრულებელი *მიხეილ უნგიაძე*

ვიზირებულია,

იურისტი *ედიშერ ჯიბუტი*